პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები) გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს ვებ-გვერდზე https://gtu.ge/apply/tests.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- სტუ¬დენტს მისცესპროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა შრომისა და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოდ წარმართვის მიმართულებით;
- შრომის ბაზ¬რის მოთხოვნების შესაბამი¬სად განუვითაროს საწარმოში შრომის უსაფრთხოების დამოუკიდებლად კვლევისა და შეფასების, ტექნოგენურ საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების კომპლექსური შეფასების, მართვისა და სისტემური ანალიზის უნარი.
- გამოუმუშაოს შრომის უსაფრთხოებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- **აღწერს** ექსტრემალურ სიტუაციაში საწარმოო საფრთხეებისა და რისკ–ფაქტორების წარმოქმნის ბუნებრივი, ტექნოგენური და სოციალური ხასიათის გამომწვევ მიზეზებს.
- **ახდენს** საწარმოო სათავსებში მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორების ამოცნობას და კომპლექსურ შეფასებას.
- **განიხილავს** საწარმოში ავარიის ალბათობისა და რისკ-ფაქტორებისმინიმუმამდე დაყვანის გზებს.
- საწარმოში რისკების იდენტიფიცირების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით **გეგმავს** კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის და სხვაადეკვატურ პრევენციულ ღონისძიებებს.
- **აანალიზებს** საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევათა სტატისტიკურ მონაცემებს დაპერსონალზე სამუშაო პირობების მავნე ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით **განსაზღვრავს** პროფილაქტიკური ღონისძიებების გაფართოების გზებს.
- ახალი სტრატეგიული მიდგომებით მართავს კომპლექსურ საწარმოო გარემოს და **ორგანიზებას უკეთებს** მომუშავეთათვის უსაფრთხო შრომის წესებისა და მეთოდების სწავლებას, პროფესიული უსაფრთხოების სფეროში მუშაკთა ტესტირებას.
- **განაზოგადებს** საწარმოო გარემოს სანიტარიულ–ჰიგიენური უსაფრთხოების პრობლემებს, ექსტრემალურ პირობებში შრომის თავისებურებებს და არგუმენტირებულად **აყალიბებს** მომუშავეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.
- **აწარმოებს** უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ინდიკატორების მონიტორინგს და შეფასებას და არგუმენტირებულად **ასაბუთებს** პროფილაქტიკური ღონისძიებების მოდიფიცირების საჭიროებას.
- ავარიული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით **არჩევს** ავარიის ლოკალიზაციისა და

ლიკვიდაციის ღონისძიებებს, გამოყენებული სპეციალური ეკიპირებისა და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს;

- **იზიარებს** შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შეფასების დამკვიდრებულ და სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ ნორმებსა და წესებს;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5
1.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5
1.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5
1.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	5
2	შრომითი რესურსების მენეჯმენტი	**5**
3	შრომისა და საგანგებო სიტუაციების საკანონმდებლო ბაზა	**5**
4	საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებები	**5**
5	ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაცია	**5**
6	საწარმოო გარემოს სანიტარიული უსაფრთხოება	**5**
	არჩევითი სასწავლო კურსები	
7.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(ინგლისური)	5
7.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5
7.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(ფრანგული)	5

7.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(რუსული)	5
8	აკადემიური წერა	5
9	უსაფრთხოების ტექნიკა	10
10	საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება	5
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	
11.1	ტექნოლოგიური პროცესების ხანძარუსაფრთხოება	5
11.2	ტექნოლოგიური პროცესების აფეთქებაუსაფრთხოება	5
12	შენობების აღდგენითი სამუშაოების უსაფრთხოება	6
13	უსაფრთხოების საინჟინრო ფსიქოლოგია	4
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	
14.1	გარემოსდაცვითი უსაფრთხოება	4
14.2	რადიაციული უსაფრთხოება	4
15	ტექნოგენური საგანგებო სიტუაციები	6
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	
16.1	მიწისძვრები, ლანდშაფტური ხანძრები და მათი ლიკვიდაცია	5
16.2	ექსტრემალური საწარმოო პირობები	5
17	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	35